رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

ქართული | جورجي | حِصْنُ المُسْلِمِ مِنْ أَذْكَارِ الكِتَابِ وَالسُّنَّةِ

# მუსლიმის სიმაგრე ვედრებები წიგნიდან და სუნიდან

უზენაესი ალლაჰის საჭიროების მქონე
დ. სა'იდ იბნ 'ალი ვაჰფ ალ-ყაჰტაანი

حِصْنُ المُسْلِمِ
مِنْ أَذْكَارِ الكِتَابِ وَالسُّنَّةِ

# მუსლიმის სიმაგრე - ვედრებები წიგნიდან და სუნიდან

د. سَعِيدُ بْنُ عَلِيِّ بْنِ وَهْفٍ الْقَحْطَانِيُّ

უზენაესი ალლაჰის საჭიროების მქონე
დ. სა'იდ იბნ 'ალი ვაჰფ  ალ-ყაჰტაანი

بِسْمِ اللهِ الرَّحمَنِ الرَّحِيمِ

## მუსლიმის სიმაგრე - ვედრებები წიგნიდან და სუნნიდან

### სახელითა ალლაჰისა მოწყალისა, შემწყალებლისა

### შესავალი

ყველა ქება დიდება ალლაჰს ეკუთვნის. ვადიდებთ მას, ვთხოვთ დახმარებას, ვთხოვთ მიტევებას. ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულების ბოროტებისგან და ჩვენი ცუდი საქმეებისგან. ვისაც ალლაჰი უწინამძღვრებს ჭეშმარიტი გზით, ვერავინ აცდუნებს მას, ხოლო ვისაც ალლაჰი აცდუნებს, მას ვერავინ დააყენებს ჭეშმარიტებაზე. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ის ერთია, არ ჰყავს მას თანამოზიარე, და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე, მის ოჯახზე, მის საჰაბებზე და მათზე, ვინც მათ მიყვა

კეთილშობილებით განკითხვის დღემდე, და მხურვალე სალამი. ამის შემდეგ:

ეს არის ჩემი წიგნის, (ზიქრი, ვედრება და რუყიათი მკურნალობა ყურანიდან და სუნნადან)[1], შემოკლებული ვერსია, მისგან ამოვიღე მხოლოდ ზიქრების ნაწილი; რათა მსუბუქი სატარებელი იყოს მგზავრობისას.

მე შემოვიფარგლე მხოლოდ ზიქრის ტექსტით და მის გადმოცემაში დავკმაყოფილდი დედანში არსებული ერთი ან ორი წყაროს მოხსენიებით, ხოლო ვისაც სურს საჰაბის ვინაობის გაგება ან მეტი ინფორმაცია გადმოცემათა ჯაჭვის შესახებ, მან დედანს უნდა მიმართოს. ვთხოვ უზენაეს ალლაჰს, თავისი მშვენიერი სახელებით და დიდებული თვისებებით, რომ ამყოფოს ის მისი ძვირფასი სახისთვის, და რომ სარგებელი მომიტანოს მე ამით ჩემს სიცოცხლეში და ჩემი სიკვდილის

[1] ნახსენები წიგნის ორიგინალი დაიბეჭდა, - მადლობა ალლაჰს- მასში მოცემული ჰადისების გადმოცემების ვრცლად მოცემით, ოთხ ტომად. მუსლიმის სიმაგრე პირველ და მეორე ტომებში.

შემდეგ, და რომ სარგებელი მოუტანოს ამით მას, ვინც წაიკითხავს, დაბეჭდავს, ან მისი გავრცელების მიზეზი გახდება; ჭეშმარიტად, განდიდებულია იგი, ის არის ამაზე პასუხისმგებელი და შესწევს ამის ძალა. ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა ჩვენს მოციქულ მუჰამმადს, მის ოჯახს, მის საჰაბებს და ყველას, ვინც გაჰყვა მათ გზას სიკეთით განკითხვის დღემდე.

ავტორი

გამოცემულია ჰიჯრით საფარის თვეში 1409 წელს.

***

## ალლაჰის ხსენების სიკეთეები

თქვა უზენაესმა ალლაჰმა:

﴿فَٱذۡكُرُونِيٓ أَذۡكُرۡكُمۡ وَٱشۡكُرُواْ لِي وَلَا تَكۡفُرُونِ ١٥٢﴾

მაშ, გამიხსენეთ და გაგიხსენებთ; მემადლიერეთ და არ მეუმადუროთ![1],

﴿يَـٰٓأَيُّهَا ٱلَّذِينَ ءَامَنُواْ ٱذۡكُرُواْ ٱللَّهَ ذِكۡرٗا كَثِيرٗا ٤١﴾

ჰეი თქვენ რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენედ ალლაჰი ხშირად[2],

﴿...وَالذَّاكِرِينَ اللَّهَ كَثِيرًا وَالذَّاكِرَاتِ أَعَدَّ اللَّهُ لَهُم مَّغْفِرَةً وَأَجْرًا عَظِيمًا﴾

...ალლაჰის ხშირად გამხსენებელი კაცებისთვის და ქალებისთვის, ალლაჰმა გაამზადა მათვის მიტევება და დიადი საზღაური.[3],

﴿وَٱذۡكُر رَّبَّكَ فِي نَفۡسِكَ تَضَرُّعٗا وَخِيفَةٗ وَدُونَ ٱلۡجَهۡرِ مِنَ ٱلۡقَوۡلِ بِٱلۡغُدُوِّ وَٱلۡأٓصَالِ وَلَا تَكُن مِّنَ ٱلۡغَٰفِلِينَ ٢٠٥﴾

დილითა და საღამოთი გულში ახსენე შენი ღმერთი მოკრძალებითა და შიშით, ხმამაღალი

---

[1] სურა ალ-ბაყარა, აიათი: 152.

[2] სურა ალ-აჰზაბ, აიათი: 41.

[3] (ალ-აჰზაბ: 35)

სიტყვის გარეშე და არ იყო უგულისყუროთაგანი.[1]

და თქვა მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«مَثَلُ الَّذِي يَذْكُرُ رَبَّهُ، وَالَّذِي لَا يَذْكُرُ ربَّهُ، مَثَلُ الحَيِّ وَالمَيِّتِ».

«შედარება იმისა, ვინც ალლაჰს იხსენებს და, ვინც ალლაჰს არ იხსენებს, ჰგავს ცოცხალსა და მიცვალებულს»[2],

და თქვა მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«أَلَا أُنَبِّئُكُم بِخَيْرِ أَعْمَالِكُمْ، وَأَزْكَاهَا عِنْدَ مَلِيكِكُمْ، وَأَرْفَعِهَا فِي دَرَجَاتِكُمْ، وَخَيْرٍ لَكُمْ مِنْ إِنْفَاقِ الذَّهَبِ وَالوَرِقِ، وَخَيْرٍ لَكُمْ مِنْ أَنْ تَلْقَوْا عَدُوَّكُمْ فَتَضْرِبُوا أَعْنَاقَهُمْ وَيَضْرِبُوا أَعْنَاقِكُم؟» قَالُوا بَلَى. «ذِكْرُ اللهِ تَعَالَى».

«გინდათ, რომ გაგაგებინოთ თქვენი საქმეებიდან საუკეთესო, ყველაზე წმინდა, რაც ყველაზე მეტად ზრდის თქვენს ჯილდოს თქვენი მბრძანებლის წინაშე და ყველაზე მეტად

---

[1] სურა ალ-ა'რაფ, აიათი: 205.

[2] გადმოსცემს ალ-ბუხარი, ალ-ფათჰთან ერთად (11/208), ნომრით (6407), და მუსლიმი (1/539), ნომრით (779), შემდეგი სიტყვებით: «სახლი, სადაც ალლაჰს ახსენებენ, და სახლი, სადაც ალლაჰს არ ახსენებენ, ჰგავს ცოცხალსა და მიცვალებულს».

აამაღლებს თქვენს ხარისხს? ეს საქმე სჯობს ოქროსა და ვერცხლის დახარჯვას და უკეთესია, ვიდრე მტრის წინაშე გამოსვლა, სადაც თქვენ მათ თავს მოჰკვეთთ და ისინი თქვენსას მოჰკვეთენ?» მათ თქვეს: «რა თქმა უნდა». «ყოვლისშემძლე ალლაჰის მოხსენიება»[1],

და თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«يَقُولُ اللهُ تَعَالَى: أَنَا عِنْدَ ظَنِّ عَبْدِي بِي، وَأَنَا مَعَهُ إِذَا ذَكَرَنِي، فَإِنْ ذَكَرَنِي فِي نَفْسِهِ، ذَكَرْتُهُ فِي نَفْسِي، وَإِنْ ذَكَرَنِي فِي مَلَإٍ ، ذَكَرْتُهُ فِي مَلَإٍ خَيْرٍ مِنْهُمْ، وَإِنْ تَقَرَّبَ إِلَيَّ شِبْرًا، تَقَرَّبْتُ إِلَيْهِ ذِرَاعًا، وَإِنْ تَقَرَّبَ إِلَيَّ ذِرَاعًا، تَقَرَّبْتُ إِلَيْهِ بَاعًا، وَإِنْ أَتَانِي يَمْشِي أَتَيْتُهُ هَرْوَلَةً».

«ყოვლადმაღალი ალლაჰი ბრძანებს: მე ვიქნები ისეთი, როგორი წარმოდგენაც აქვს ჩემს მსახურს ჩემზე, და მე მასთან ვარ, როცა ის მახსენებს, თუ ის გამიხსენებს თავის გულში, მეც გავიხსენებ მას, და თუ ის მიხსენებს საზოგადოებაში, მეც მას ვახსენებ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც მათზე უკეთესია, და თუ ის მომიახლოვდება ერთი მტკაველით, მე

---

[1] გადმოსცა ათ'თირმიზიმ, 5/459, ნომრით: 3377, და იბნ მააჯამ, 2/124, ნომრით: 3790, და იხილეთ: საჰიჰი იბნ მააჯაში, 2/316, და საჰიჰი ათ'თირმიზში, 3/139.

მივუახლოვდები მას ერთი იდაყვით, და თუ ის მომიახლოვდება ერთი იდაყვით, მე მივუახლოვდები მას (ზაა'ით)გაშლილი ორი მკლავის მანძილით, და თუ ის ჩემთან მოვა სიარულით, მე მასთან მივალ (ნელი)სირბილით»[1],

აბდულლაჰ იბნ ბუსრისგან (დაე, ალლაჰი კმაყოფილი იყოს მისით) გადმოცემულია, რომ ერთმა ადამიანმა თქვა: "ო, ალლაჰის მოციქულო, ისლამის ვალდებულებები ჩემთვის ძალიან ბევრია. მითხარი რამე, რასაც მე მტკიცედ დავიჭერ." მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა:

«لَا يَزَالُ لِسَانُكَ رَطْبًا مِنْ ذِكْرِ اللهِ».

«დაე, შენი ენა მუდამ სველი იყოს ალლაჰის ხსენებით»[2]'

და თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

---

1 გადმოსცემს ალ-ბუხარი (8/171) ნომრით (7405), და მუსლიმი (4/2061) ნომრით (2675), და სიტყვები ეკუთვნის ალ-ბუხარის.

2 გადმოსცა ათ'თირმიზიმ, 5/458, ნომრით: 3375, და იბნ მააჯამ, 2/1246, ნომრით: 3793, იმამი ალ-ალბანი ჰადისს სანდოდ მიიჩნევს საჰიჰ ათ'თირმიზში, 3/139, და საჰიჰ იბნ მააჯაში, 2/317.

«مَنْ قَرَأَ حَرْفًا مِنْ كِتَابِ اللهِ فَلَهُ بِهِ حَسَنَةٌ، وَالحَسَنَةُ بِعَشْرِ أَمْثَالِهَا، لَا أَقُولُ: ﴿الم﴾ حَرْفٌ، وَلَكِنْ: أَلِفٌ حَرْفٌ، وَلَامٌ حَرْفٌ، وَمِيْمٌ حَرْفٌ».

«ვინც წაიკითხავს ალლაჰის წიგნიდან ერთ ასოს, მას დაეწერება ერთი მადლი, რომელიც უდრის ათ მადლს. მე არ ვამბობ, რომ ალიფ ლაამ მიმ ერთი ასოა, არამედ ალიფი ერთი ასოა, ლამ ერთი ასოა და მიმ ერთი ასოა»[1].

და გადმოცემულია 'უყბა იბნ 'აამირისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოვიდა, როდესაც ჩვენ სუფფაში (ადგილი ღატაკი მოსწავლეებისთვის) ვიყავით, და თქვა:

«أَيُّكُمْ يُحِبُّ أَنْ يَغْدُوَ كُلَّ يَوْمٍ إِلَى بُطْحَانَ، أَوْ إِلَى العَقِيقِ، فَيَأْتِيَ مِنْهُ بِنَاقَتَيْنِ كَوْمَاوَيْنِ فِي غَيْرِ إِثْمٍ وَلَا قَطِيعَةِ رَحِمٍ؟»

«რომელ თქვენგანს სურს, რომ ყოველდღე დილით წავიდეს ბუტჰანში ან 'აყიყში და იქიდან ორი დიდკუზიანი მძუ აქლემი წამოიყვანოს, ყოველგვარი ცოდვისა და

[1] გადმოსცა ათ'თირმიზიმ 5/75, ნომრით: 2910, იმამი ალბანი ჰადისს სანდოდ მიიჩნევს საჰიჰ ათ'თირმიზში, 3/9, და საჰიჰ ალ-ჯამი ას-საღირში, 5/340.

ნათესაური კავშირის გაწყვეტის გარეშე?» ჩვენ ვუპასუხეთ: „ო, ალლაჰის შუამავალო, გვსურს ეს“, მან თქვა:

«أَفَلَا يَغْدُو أَحَدُكُمْ إِلَى الْمَسْجِدِ فَيَعْلَمَ، أَوْ يَقْرَأَ آيَتَيْنِ مِنْ كِتَابِ اللهِ عز وجل خَيْرٌ لَهُ مِنْ نَاقَتَيْنِ، وَثَلَاثٌ خَيْرٌ لَهُ مِنْ ثَلَاثٍ، وَأَرْبَعٌ خَيْرٌ لَهُ مِنْ أَرْبَعٍ، وَمِنْ أَعْدَادِهِنَّ مِنَ الإِبِلِ».

«ნუთუ რომელიმე თქვენგანი არ წავა მეჩეთში, რომ ისწავლოს ან წაიკითხოს ალლაჰის წიგნიდან ორი აიათი, რაც უკეთესია მისთვის, ვიდრე ორი აქლემი, და სამი უკეთესია, ვიდრე სამი, და ოთხი უკეთესია, ვიდრე ოთხი და მათივე რაოდენობის აქლემი»[1].

და თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«مَنْ قَعَدَ مَقْعَدًا لَمْ يَذْكُرِ اللهَ فِيهِ، كَانَتْ عَلَيْهِ مِنَ اللهِ تِرَةٌ، وَمَنِ اضْطَجَعَ مَضْجِعًا لَمْ يَذْكُرِ اللهَ فِيهِ كَانَتْ عَلَيْهِ مِنَ اللهِ تِرَةٌ».

«ვინც დაჯდება ადგილას, სადაც ალლაჰს არ ახსენებს, ეს მისთვის ალლაჰისგან დანაკლისი იქნება, და ვინც დაწვება ადგილას, სადაც ალლაჰს არ ახსენებს, ეს მისთვის ალლაჰისგან

[1] გადმოსცა მუსლიმმა (1/553) ნომრით (803).

დანაკლისი იქნება»[1].

და თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«مَا جَلَسَ قَوْمٌ مَجْلِسًا لَمْ يَذْكُرُوا اللهَ فِيهِ، وَلَمْ يُصَلُّوا عَلَى نَبِيِّهِمْ إِلَّا كَانَ عَلَيْهِمْ تِرَةً، فَإِنْ شَاءَ عذَّبَهُمْ، وَإِنْ شَاءَ غَفَرَ لَهُمْ».

«რომელიმე საზოგადოება თუ შეიკრიბება სადმე და ამ შეკრების ადგილას არც ალლაჰს ახსენებენ და არც მათ შუამავალს დალოცავენ, ეს იქნება მათთვის სინანული, თუ ინებებს ალლაჰი დასჯის და თუ ინებებს აპატიებს მათ»[2].

და თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«مَا مِنْ قَوْمٍ يَقُومُونَ مِنْ مَجْلِسٍ لَا يَذْكُرُونَ اللهَ فِيهِ إِلَّا قَامُوا عَنْ مِثْلِ جِيفَةِ حِمَارٍ، وَكَانَ لَهُمْ حَسْرَةً».

«თუ რომელიმე ჯგუფი თავიანთ მეჯლისიდან ალლაჰის ხსენების გარეშე ადგება, ისინი ჰგვანან იმას, ვინც მკვდარი ვირის გვერდით იჯდა და ადგა. ეს მეჯლისი მათთვის

---

1 აბუ დაუდ (4/264), ნომრით: (4856), და სხვები. იხ: საჰიჰ ალ-ჯამი (5/342).
2 ათ'თირმიზი (5/461) ნომრით: (3380), იხ: საჰიჰი ათ-თირმიზი (3/140).

სინანულის მიზეზი გახდება»[1].

## 1. ძილიდან გაღვიძების ვედრებები

«الحَمْدُ للهِ الَّذِي أَحْيَانَا بَعْدَ مَا أَمَاتَنَا، وَإِلَيْهِ النُّشُورُ».

დიდება ალლაჰს, რომელმაც გაგვაცოცხლა სიკვდილის შემდეგ და მასთან არის ჩვენი მისაქციელი.[2]

«لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ، لَهُ المُلْكُ وَلَهُ الحَمْدُ، وَهُوَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ، سُبْحَانَ اللهِ، وَالحَمْدُ للهِ، وَلَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَاللهُ أَكْبَرُ، وَلَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللهِ العَلِيِّ العَظِيمِ، رَبِّ اغْفِرْ لِي».

«არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, მას ეკუთვნის მეუფება, მას ეკუთვნის დიდება, ის არის ყოვლისშემძლე, ყოვლადუნაკლოა ალლაჰი, ქება-დიდება მას, არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ალლაჰი უდიდესია, არ არსებობს ძალა და შეწევნა, გარდა ალლაჰისა უდიდესისა, დიადისა, უფალო, შემინდე მე»[3].

---

1 გადმოსცა აბუ დაუდმა (4/264) ნომრით (4855), და აჰმადმა (2/389) ნომრით (10680), იხილეთ: საჰიჰ ალ-ჯამი (5/176).

2 გადმოსცემს ალ-ბუხარი "ალ-ფათჰ"-ში (11/113) ნომრით: (6314), და მუსლიმი (4/2083) ნომრით: (2711).

3 «ვინც ამას იტყვის, ეპატიება მას, ხოლო თუ შეევედრება, შესმენილ იქნება მისი ვედრება, ხოლო თუ წამოდგება, აიღებს აბდესს და შემდეგ ილოცებს, მიღებულ იქნება მისი ლოცვა». ალ-ბუხარი (ფათჰთან

«الحَمْدُ لِلَّهِ الَّذِي عَافَانِي فِي جَسَدِي، وَرَدَّ عَلَيَّ رُوحِي، وَأَذِنَ لِي بِذِكْرِهِ».

«დიდება ალლაჰს, რომელმაც ჯანმრთელობა უბოძა ჩემს სხეულს, დამიბრუნა ჩემი სული და ნება დამრთო მისი ხსენებისა»[1].

﴿إِنَّ فِي خَلۡقِ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلۡأَرۡضِ وَٱخۡتِلَٰفِ ٱلَّيۡلِ وَٱلنَّهَارِ لَأٓيَٰتٖ لِّأُوْلِي ٱلۡأَلۡبَٰبِ ١٩٠
ٱلَّذِينَ يَذۡكُرُونَ ٱللَّهَ قِيَٰمٗا وَقُعُودٗا وَعَلَىٰ جُنُوبِهِمۡ وَيَتَفَكَّرُونَ فِي خَلۡقِ ٱلسَّمَٰوَٰتِ
وَٱلۡأَرۡضِ رَبَّنَا مَا خَلَقۡتَ هَٰذَا بَٰطِلٗا سُبۡحَٰنَكَ فَقِنَا عَذَابَ ٱلنَّارِ ١٩١ رَبَّنَآ إِنَّكَ مَن
تُدۡخِلِ ٱلنَّارَ فَقَدۡ أَخۡزَيۡتَهُۥۖ وَمَا لِلظَّٰلِمِينَ مِنۡ أَنصَارٖ ١٩٢ رَّبَّنَآ إِنَّنَا سَمِعۡنَا مُنَادِيٗا يُنَادِي
لِلۡإِيمَٰنِ أَنۡ ءَامِنُواْ بِرَبِّكُمۡ فَـَٔامَنَّاۚ رَبَّنَا فَٱغۡفِرۡ لَنَا ذُنُوبَنَا وَكَفِّرۡ عَنَّا سَيِّـَٔاتِنَا وَتَوَفَّنَا
مَعَ ٱلۡأَبۡرَارِ ١٩٣ رَبَّنَا وَءَاتِنَا مَا وَعَدتَّنَا عَلَىٰ رُسُلِكَ وَلَا تُخۡزِنَا يَوۡمَ ٱلۡقِيَٰمَةِۖ إِنَّكَ لَا
تُخۡلِفُ ٱلۡمِيعَادَ ١٩٤ فَٱسۡتَجَابَ لَهُمۡ رَبُّهُمۡ أَنِّي لَآ أُضِيعُ عَمَلَ عَٰمِلٖ مِّنكُم مِّن ذَكَرٍ أَوۡ
أُنثَىٰۖ بَعۡضُكُم مِّنۢ بَعۡضٖۖ فَٱلَّذِينَ هَاجَرُواْ وَأُخۡرِجُواْ مِن دِيَٰرِهِمۡ وَأُوذُواْ فِي سَبِيلِي
وَقَٰتَلُواْ وَقُتِلُواْ لَأُكَفِّرَنَّ عَنۡهُمۡ سَيِّـَٔاتِهِمۡ وَلَأُدۡخِلَنَّهُمۡ جَنَّٰتٖ تَجۡرِي مِن تَحۡتِهَا ٱلۡأَنۡهَٰرُ
ثَوَابٗا مِّنۡ عِندِ ٱللَّهِۚ وَٱللَّهُ عِندَهُۥ حُسۡنُ ٱلثَّوَابِ ١٩٥ لَا يَغُرَّنَّكَ تَقَلُّبُ ٱلَّذِينَ كَفَرُواْ فِي
ٱلۡبِلَٰدِ ١٩٦ مَتَٰعٞ قَلِيلٞ ثُمَّ مَأۡوَىٰهُمۡ جَهَنَّمُۖ وَبِئۡسَ ٱلۡمِهَادُ ١٩٧ لَٰكِنِ ٱلَّذِينَ ٱتَّقَوۡاْ رَبَّهُمۡ
لَهُمۡ جَنَّٰتٞ تَجۡرِي مِن تَحۡتِهَا ٱلۡأَنۡهَٰرُ خَٰلِدِينَ فِيهَا نُزُلٗا مِّنۡ عِندِ ٱللَّهِۗ وَمَا عِندَ ٱللَّهِ
خَيۡرٞ لِّلۡأَبۡرَارِ ١٩٨ وَإِنَّ مِنۡ أَهۡلِ ٱلۡكِتَٰبِ لَمَن يُؤۡمِنُ بِٱللَّهِ وَمَآ أُنزِلَ إِلَيۡكُمۡ وَمَآ أُنزِلَ

ერთად) (3/39), ნომრით: (1154) და სხვები, ხოლო ტექსტი ეკუთვნის იბნ მაჯას, იხილეთ: საჰიჰ იბნ მაჯა (2/335).

[1] ათ'თირმიზი(5/473) ნომრით (3401), იხილეთ: საჰიჰი ათ'თირმიზი (3/144).

إِلَيۡهِمۡ خَٰشِعِينَ لِلَّهِ لَا يَشۡتَرُونَ بِـَٔايَٰتِ ٱللَّهِ ثَمَنٗا قَلِيلًاۚ أُوْلَٰٓئِكَ لَهُمۡ أَجۡرُهُمۡ عِندَ رَبِّهِمۡۗ
إِنَّ ٱللَّهَ سَرِيعُ ٱلۡحِسَابِ ﴿١٩٩﴾ يَٰٓأَيُّهَا ٱلَّذِينَ ءَامَنُواْ ٱصۡبِرُواْ وَصَابِرُواْ وَرَابِطُواْ وَٱتَّقُواْ ٱللَّهَ
لَعَلَّكُمۡ تُفۡلِحُونَ ﴿٢٠٠﴾)

ჭეშმარიტად, ცათა და დედამიწის გაჩენაში და დღე-ღამის მონაცვლეობაში – თვალსაჩინო სასწაულებია გონიერთათვის. 190

რომელნიც ალლაჰს მოიხსენიებენ – მდგომარენი, მჯდომარენი თუ მხარზე მწოლარენი , და ცათა და დედამიწის გაჩენაზე ფიქრობენ. ღმერთო ჩვენო! ტყუილ-უბრალოდ არ გაგიჩენია შენ ეს ყოველივე! შენ ყოვლად უნაკლო ხარ! დაგვიფარე ცეცხლის სატანჯველისგან! 191

ღმერთო ჩვენო! ჭეშმარიტად, ვისაც შენ ცეცხლში შეიყვან, მართლაც სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააგდებ მას. და არავინაა დამხმარე – უსამართლოთა. 192

ღმერთო ჩვენო! ჭეშმარიტად, მოგვესმა ჩვენ ხმა მქადაგებლისა, რომელიც რწმენისკენ მოგვიწოდებდა, რომ თქვენი ღმერთი

ირწმუნეთო, და ჩვენც ვირწმუნეთ. ღმერთო ჩვენო! გვაპატიე ჩვენი ცოდვები, დაგვიფარე ჩვენ მიერ ჩადენილი უკეთურებანი და კეთილ ხალხთან ერთად მოგვაკვდინე! 193

ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ის, რაც შენი შუამავლების მეშვეობით აღგვითქვი და არ ჩაგვაგდო განკითხვის დღეს სამარცხვინო მდგომარეობაში. ჭეშმარიტად, არ დაარღვევ შენ აღთქმას. 194

თავიანთმა ღმერთმა (დადებითად) უპასუხა მათ: ჭეშმარიტად, არ დავკარგავ ღვაწლს მე თქვენსას, – არცერთი მშრომელისას – კაცი იქნება თუ ქალი, – თქვენ (სრულმქმნელი) ნაწილნი ხართ ერთმანეთისა. ხოლო მათ, ვინც ჰიჯრა გააკეთეს (სარწმუნოების გამო), თავიანთი სამშობლოდან განიდევნენ, ჩემს გზაზე გასაჭირში აღმოჩდნენ, იბრძოლეს და დაიღუპნენ, – აუცილებლად დავუფარავ თავიანთ უკეთურობებს (წარსულში ჩადენილს). აუცილებლად შევიყვან მათ სამოთხეებში, რომელთა ქვეშაც მდინარეები

მიედინებიან, – ალლაჰისმიერი ჯილდოს სახით. ჭეშმარიტად, ალლაჰთანაა ჯილდო – საუკეთესო. 195

არ შეგაშინოს ურწმუნოების ერთი ქვეყნიდან მეორეში ძრწოლამ ! 196

(ამქვეყნიური კეთილდღეობა) მცირე/წარმავალი სარგებელია. ჯოჯოხეთია მათი თავშესაფარი, და რაოდენ ცუდი სარეცელია იგი. 197

ხოლო მათთვის, ვისაც რიდი ჰქონდათ თავიანთი ღმერთის, – ალლაჰისგან, ნიშნად პატივისცემისა, – სამოთხეებია მომზადებული, რომელთა ქვეშაც მდინარეები მიედინებიან. იქ იქნებიან მარადჟამს. და რაც ალლაჰის წინაშეა, უკეთესია ის კეთილშობილთათვის. 198

ჭეშმარიტად, წიგნბოძებულთა შორის არიან ისეთნიც, ვისაც სწამთ ალლაჰი; რაც შენ ჩამოგევლინა და რაც მათ ჩამოევლინათ; შიში აქვთ ალლაჰისა და მცირე საფასურად არ ყიდიან ალლაჰის აიათებს. სწორედ ისინი არიან, ჯილდოს რომ ფლობენ თავიანთი ღმერთის

წინაშე. ჭეშმარიტად, ალლაჰი სწრაფანგარიშიანია.199

ეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მოითმინეთ, გამძლეობა გამოიჩინეთ, სრულ მზადყოფნაში იყავით და ალლაჰის რიდი გქონდეთ, – იქნებ წარმატებულნი იყოთ. 200

[სურა აალ იმრაან: 190- 200][1].

## 2. სამოსის ჩაცმის ვედრება.

«الحَمْدُ للهِ الَّذِي كَسَانِي هَذَا (الثَّوْبَ) وَرَزَقَنِيهِ مِنْ غَيْرِ حَوْلٍ مِنِّي وَلَا قُوَّة...».

«დიდება ალლაჰს, რომელმაც ჩამაცვა ეს სამოსი ჩემი მხრიდან ყოველგვარი ძალისა და შეძლების გარეშე...»[2].

## 3. ახალი ტანსაცმლის ჩაცმის ვედრება

«اللَّهُمَّ لَكَ الحَمْدُ أَنْتَ كَسَوْتَنِيهِ، أَسْأَلُكَ مِنْ خَيْرِهِ وَخَيْرِ مَا صُنِعَ لَهُ، وَأَعُوذُ بِكَ مِنْ شَرِّهِ وَشَرِّ مَا صُنِعَ لَهُ».

«ღმერთო ჩემო დიდება შენ, რომელმაც

---

1 გადმოსცემს ალ-ბუხარი, ფათჰ-თან ერთად (8/337), ნომრით: (4569), და მუსლიმი (1/530), ნომრით: (256).

2 გადმოსცეს სუნანის ავტორებმა ან-ნასაის გარდა: აბუ დაუდმა ნომრით: (4023), და ათ-თირმიზიმ ნომრით: (3458), და იბნ მააჯამ ნომრით: (3285), იმამი ალ-ალბანი ჰადისს სანდოდ მიიჩნევს 'ირვაა ღალილში' (47/7).

ჩამაცვი, გთხოვ შენ მის სიკეთეს და იმის სიკეთეს, რისთვისაც ის იქნა გამზადებული, შენ შეგეფარები მის სიავისგან და იმის სიავისგან, რისთვისაც ის იქნა გამზადებული»[1].

## 4. დუა (ვედრება) იმას, ვინც ახალ ტანსაცმელს ჩაიცვამს.

«تُبْلِي وَيُخْلِفُ اللهُ تَعَالَى».

«ჩაიცვი ის და ალლაჰმა შეგიცვალოს ის ახლით»[2].

«اِلْبَسْ جَدِيدًا، وَعِشْ حَمِيدًا، وَمُتْ شَهِيدًا».

«ჩაიცვი ახალი, იცხოვრე ქებულად და მოკვდი შაჰიდად»[3].

## 5. რას ამბობს, როდესაც ტანსაცმელს იხდის

«بِسْمِ اللهِ».

ალლაჰის სახელით"[4].

---

1 აბუ დაუდ, ნომრით (4020), ათ'თირმიზი, ნომრით (1767), და ალ-ბაღავი (12/40). იხილეთ: ალ-ალბანის მუხთასარ შამაილ ათ-თირმიზი (გვ. 47).

2 გადმოსცა აბუ დაუდმა (4/41) ნომრით (4020), და იხილე: საჰიჰ აბი დაუდი (2/760).

3 იბნ მაჯა, 2/1178, ნომრით: 3558, და ალ-ბაღავი, 12/41, და იხილეთ: საჰიჰ იბნ მაჯა, 2/275.

4 ათ'თირმიზი (2/505), ნომრით: (606), და სხვები, იხილეთ: ირვა' ალ-ღალილში, ნომრით: (50), და საჰიჰ ალ-ჯამი'ში (203/3).

## 6. საპირფარეშოში შესვლის ვედრება

«[بِسْمِ اللهِ] اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنَ الخُبْثِ وَالخَبَائِثِ».

«[ალლაჰის სახელით] ღმერთო ჩემო, შენ შეგეფარები ქალი და კაცი ჯინებისგან»[1].

## 7- საჭირო ოთახიდან გამოსვლის ვედრება

«غُفْرَانَكَ».

«ღუფრაანაქა»[2].

## 8. აბდესამდე ალლაჰის ხსენება.

«بِسْمِ اللهِ».

ალლაჰის სახელით"[3].

## 9. აბდესის აღების შემდეგ ალლაჰის ხსენება.

«أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ وَأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ..».

---

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი (ტომი 1, გვ. 45) ნომრით (142), და მუსლიმი (ტომი 1, გვ. 283) ნომრით (375), ხოლო დამატება: „ალლაჰის სახელით" მის დასაწყისში გადმოსცა სა'იდ იბნ მანსურმა. იხილეთ ფათჰ ალ-ბარი (ტომი 1, გვ. 244).

[2] გადმოსცეს სუნანის ავტორებმა, გარდა ნასაისა, რომელმაც ის გადმოსცა ა'მალი ალ-იავმი ვა ალ-ლაილაჰ-ში, ნომრით (79). აბუ დაუდი, ნომრით (30), თირმიზი, ნომრით (7), იბნ მააჯა, ნომრით (300). ალ-ალბანი ჰადისს სანდოდ მიიჩნევს აბუ დაუდის საჰიჰი სუნანში (1/19).

[3] აბუ დაუდ, ნომრით: 101, იბნ მააჯა, ნომრით: 397, აჰმად, ნომრით: 9418, იხილეთ ირვა ალ-ღალილი (1/122).

ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია.."[1].

«اللَّهُمَّ اجْعَلْنِي مِنَ التَّوَّابِينَ وَاجْعَلْنِي مِنَ الْمُتَطَهِّرِينَ».

«ო ალლაჰ, გამხადე მომნანიებელთაგანი და განწმენდილთაგანი»[2].

«سُبْحانَكَ اللَّهُمَّ وَبِحَمْدِكَ، أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ، أَسْتَغْفِرُكَ وَأَتوبُ إِلَيْكَ».

ყოვლადდუნაკლო ხარ, ღმერთო ჩემო ქება-დიდება შენია, ვამოწმებ რომ არ არსებობს ღვთაება გარდა შენი, პატიებას ვითხოვ შენგან და ვინანიებ შენს წინაშე.[3].

## 10. ვედრება სახლიდან გასვლისას

«بِسْمِ اللهِ، تَوَكَّلْتُ عَلَى اللهِ، وَلَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللهِ».

(ალლაჰის სახელით, მივენდობი ალლაჰს, არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა)[4].

---

1 გადმოსცა მუსლიმმა (1/209) ნომრით (234).

2 ათ'თირმიზი (1/78) ნომრით (55), და იხილეთ: საჰიჰი ათ'თირმიზი (1/18).

3 ან-ნასაი ა'მალი ალ-იავმი ვა ალ-ლაილაჰ (გვ. 173), იხ: ირვა' ალ-ღალილ (1/135) და (3/94).

4 აბუ დაუდ (4/325) ნომრით (5095), და ათ-თირმიზი (5/490) ნომრით (3426), და იხილეთ: საჰიჰი ათ-თირმიზი (3/151).

«اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ أَنْ أَضِلَّ، أَوْ أُضَلَّ، أَوْ أَزِلَّ، أَوْ أُزَلَّ، أَوْ أَظْلِمَ، أَوْ أُظْلَمَ، أَوْ أَجْهَلَ، أَوْ يُجْهَلَ عَلَيَّ».

«ღმერთო შენ შეგეფარები, რომ ვიყო გზა აბნეული ან ავუბნიო ვინმეს გზა, რომ შევცდე ან ვინმემ შემაცდინოს, რომ მოვექცე ვინმეს უსამართლოდ, ან მომექცნენ უსამართლოდ, ან მოვიქცე უმეცრად ან ვინმე მომექცეს უმეცრად»[1].

## 11. ზიქრი სახლში შესვლისას

«بِسْمِ اللهِ وَلَجْنَا، وَبِسْمِ اللهِ خَرَجْنَا، وَعَلَى اللهِ رَبِّنَا تَوَكَّلْنَا، ثُمَّ لِيُسَلِّمْ عَلَى أَهْلِهِ».

მნიშვნელობა: (ალლაჰის სახელით შემოვედით და ალლაჰის სახელით გავედით, ჩვენს ღმერთს ალლაჰს მივენდეთ, და შემდეგ მიესალმე მის მაცხოვრებლებს)[2].

## 12. მეჩეთში წასვლის ვედრება

«اللَّهُمَّ اجْعَلْ فِي قَلْبِي نُورًا، وَفِي لِسَانِي نُورًا، وَفِي سَمْعِي نُورًا، وَفِي بَصَرِي

---

[1] სუნანის ავტორები: აბუ დაუდ, ნომრით: 5094, ათ'თირმიზი, ნომრით: 3427, ნესაი, ნომრით: 5501, და იბნ მააჯა, ნომრით: 3884. იხილეთ: საჰიჰი ათ'თირმიზი, 3/152, და საჰიჰი იბნ მააჯა, 2/336.

[2] გადმოცემულია აბუ დავუდის მიერ, ტომი 4, გვერდი 325, ნომრით (5096). მისი ისნადი ჰასანად მიიჩნია ა'ლლამა იბნ ბაზმა "თუჰფათ ალ-ახიარ"-ში (გვ. 28). ხოლო საჰიჰში ვკითხულობთ: «როდესაც ადამიანი შედის თავის სახლში და მოიხსენიებს ალლაჰს შესვლისას და საჭმლის დროს, შაიტანი ამბობს: "აქ თქვენთვის არც თავშესაფარი იქნება და არც ვახშამი"», მუსლიმი, ნომრით (2018).

نُورًا، وَمِنْ فَوْقِي نُورًا، وَمِنْ تَحْتِي نُورًا، وَعَنْ يَمِينِي نُورًا، وَعَنْ شِمَالِي نُورًا، وَمِنْ أَمَامِي نُورًا، وَمِنْ خَلْفِي نُورًا، وَاجْعَلْ فِي نَفْسِي نُورًا، وَأَعْظِمْ لِي نُورًا، وَعَظِّمْ لِي نُورًا، وَاجْعَلْ لِي نُورًا، وَاجْعَلْنِي نُورًا، اللَّهُمَّ أَعْطِنِي نُورًا، وَاجْعَلْ فِي عَصَبِي نُورًا، وَفِي لَحْمِي نُورًا، وَفِي دَمِي نُورًا، وَفِي شَعْرِي نُورًا، وَفِي بَشَرِي نُورًا».

«ღმერთო ჩემო, დაადგინე ჩემს გულში სინათლე, ჩემს ენაზე სინათლე, ჩემს სმენაში სინათლე, ჩემს მხედველობაში სინათლე, ჩემს ზემოთ სინათლე, ჩემს ქვემოთ სინათლე, ჩემს მარჯვნივ სინათლე, ჩემს მარცხნივ სინათლე, ჩემს წინ სინათლე, ჩემს უკან სინათლე, და დაადგინე ჩემს სულში სინათლე, და გამიდიდე მე სინათლე, განადიდე ჩემთვის სინათლე, და დამიდგინე სინათლე, მაქციე მე სინათლედ, ღმერთო ჩემო, მომეცი სინათლე, და დაადგინე ჩემს ნერვებში სინათლე, ჩემს ხორცში სინათლე, ჩემს სისხლში სინათლე, ჩემს თმაში სინათლე, ჩემს კანში სინათლე»[1].

«اللَّهُمَّ اجْعَلْ لِي نُورًا فِي قَبْرِي... وَنُورًا فِي عِظَامِي» «وَزِدْنِي نُورًا، وَزِدْنِي نُورًا، وَزِدْنِي نُورًا» «وَهَبْ لِي نُورًا عَلَى نُورٍ».

---

1 იხილეთ ყველა ეს ფორმულირება ალ-ბუხარის კრებულში (11/116), ნომრით: (3166), და მუსლიმის კრებულში (1/526), ნომრებით: (529), (530) და (763).

«ღმერთო ჩემო, დამიდგინე სინათლე ჩემს საფლავში... და სინათლე ჩემს ძვლებში»[1] «და მომიმატე სინათლე, და მომიმატე სინათლე, და მომიმატე სინათლე»[2] «და მომმადლე სინათლე სინათლეზე»[3].

## 13. მეჩეთში შესვლის ვედრება

(იწყებს მარჯვენა ფეხით)[4] და ამბობს:

«أَعُوذُ بِاللهِ العَظِيمِ، وَبِوَجْهِهِ الكَرِيمِ، وَسُلْطَانِهِ القَدِيمِ، مِنَ الشَّيْطَانِ الرَّجِيمِ»

«ა'უუზუ ბილლაჰილ 'აზიიმ, ვა ბივაჯჰიჰილ ქარიიმ, ვა სულტაანიჰილ ყადიიმ, მინა შშაიტაანი რრაჯიიმ».[5]

---

[1] გადმოსცა ათ-თირმიზიმ (5/483) ნომრით (3419).

[2] გადმოსცა ალ-ბუხარიმ ალ-ადაბ ალ-მუფრადში, ნომრით (695) (გ.258) და ალ-ალბანიმ სანდოდ მიიჩნია მისი ისნადი საჰიჰ ალ-ადაბ ალ-მუფრადში ნომრით (536).

[3] იბნ ჰაჯარმა მოიხსენია ფათჰ ალ-ბარიში, და მიაწერა იბნ აბი ასიმს წიგნში ალ-დუა, იხილეთ ალ-ფათჰი (11/118) და თქვა: ((სხვადასხვა გადმოცემებიდან ოცდახუთი თვისება შეგროვდა)).

[4] ანას იბნ მალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) სიტყვების მიხედვით: «სუნნეთიდანაა, მეჩეთში შესვლისას მარჯვენა ფეხით დაიწყო, ხოლო გამოსვლისას მარცხენა ფეხით». გადმოცემულია ალ-ჰაქიმის მიერ (1/218), რომელმაც ის სანდოდ სცნო იმამ მუსლიმის კრიტერიუმების მიხედვით, რასაც დაეთანხმა აზ-ზაჰაბიც; ასევე გადმოცემულია ალ-ბაიჰაყის მიერ (2/442), ხოლო ალ-ალბანიმ ის კარგ ჰადისად მიიჩნია წიგნში „სილსილათ ალ-აჰადის ას-საჰიჰა" (5/624), ნომერი (2478).

[5] აბუ დაუდ, ნომრით (466), იხილეთ: საჰიჰი ალ-ჯამი ნომრით (4591).

«بِسْمِ اللهِ، وَالصَّلَاةُ» «وَالسَّلَامُ عَلَى رَسُولِ اللهِ»

«ბისმილლაჰი, ვა სსალაათუ» «ვა სსალაამუ 'ალაა რასუულილლაჰ».

მნიშვნელობა: (ალლაჰის სახელით, ლოცვა[1] და მშვიდობა ალლაჰის მოციქულზე იყოს)[2].

«اللَّهُمَّ افْتَحْ لِي أَبْوَابَ رَحْمَتِكَ».

«ალლაჰუმმა ფთაჰლიი აბვააბა რაჰმათიქ».[3] / ო ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები.

## 14. მეჩეთიდან გამოსვლის ვედრება

(იწყებს მარცხენა ფეხით)[4] და ამბობს:

«بِسْمِ اللهِ وَالصَّلَاةُ وَالسَّلَامُ عَلَى رَسُولِ اللهِ»

«ალლაჰის სახელით და ლოცვა და მშვიდობა ალლაჰის შუამავალს,

---

1 გადმოსცემს იბნ ას-სუნნი ნომრით (88), და ალ-ალბანიმ ჰასანად შეაფასა „ას-სამარ ალ-მუსთატააბში“, (გვ. 607).

2 აბუ დაუდ (1/126) ნომრით (465), იხილეთ: საჰიჰ ალ-ჯამი (1/528).

3 მუსლიმი (1/494) ნომრით (713), და სუნან იბნ მაჯაში ფატიმასგან (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი): ((ღმერთო ჩემო, მომიტევე მე ჩემი ცოდვები და გამიღე შენი მოწყალების კარები)), ალ-ალბანიმ სანდოდ მიიჩნია მისი სხვა (მოწმე ჰადისების) გადმოცემების გამო. იხილეთ: საჰიჰ იბნ მაჯა (1/128) ნომრით (129).

4 ალ-ჰაქიმ (1/218), და ალ-ბაიჰაყი (2/442), ჰადისს კარგად მიიჩნევს იმამი ალ-ალბანი, სილსილათუ ალ-აჰადისი ალ-საჰიჰა (5/624) ნომრით: (2478), და მისი წყაროები უკვე მოყვანილია.

اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ مِنْ فَضْلِكَ،

ღმერთო ჩემო! შენ გთხოვ შენი სიკეთიდან,

اللَّهُمَّ اعْصِمْنِي مِنَ الشَّيْطَانِ الرَّجِيمِ».

ალლაჰუმმა 'ასიმნიი მინა შშაიტანი რრაჯიიმ». (ღმერთო, დამიფარე ქვით ჩაქოლილი ეშმაკისგან).[1].

## 15. აზანის აზქარები

გაიმეოროს ის, რასაც მუეზინი ამბობს, გარდა სიტყვებისა "ჰაია 'ალაა სალაა" და "ჰაია 'ალაალ ფალაჰ", და ამბობს:

«لَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللهِ».

«არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა».[2]

ამბობს:

«وَأَنَا أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ وَأَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ،

رَضِيتُ بِاللهِ رَبًّا، وَبِمُحَمَّدٍ رَسُولًا، وَبِالإِسْلَامِ دِينًا»

---

1 იხილეთ მეჩეთში შესვლის ლოცვის შესახებ წინა ჰადისის (ნომერი 20) გადმონაწერების წყაროები და იბნ მაჯას დამატება: «ღმერთო ჩემო! დამიცავი დაწყევლილი ეშმაკისგან». იხილეთ: საჰიჰ იბნ მაჯა (1/129).

2 გადმოსცემს ალ-ბუხარი (1/152) ნომრით: (611) და (613), და მუსლიმი (1/288) ნომრით: (383).

«და მე ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, და რომ მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია, კმაყოფილი ვარ ალლაჰით, როგორც ღმერთით, მუჰამმადით - როგორც შუამავლით, და ისლამით - როგორც რელიგიით»[1]

(ამას ამბობს მუეზინის დამოწმების შემდეგ)[2].

(მუეზინის მოწოდებაზე გამოხმაურების დასრულების შემდეგ, დალოცავს შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას))[3].

ამბობს:

«اللَّهُمَّ رَبَّ هَذِهِ الدَّعْوَةِ التَّامَّةِ، وَالصَّلَاةِ القَائِمَةِ، آتِ مُحَمَّدًا الوَسِيلَةَ وَالفَضِيلَةَ، وَابْعَثْهُ مَقَامًا مَحمُودًا الَّذِي وَعَدْتَهُ، [إِنَّكَ لَا تُخْلِفُ المِيعَادَ]».

«ღმერთო ჩემო, ამ სრულყოფილი მოწოდებისა და აღსრულებული ლოცვის მეუფევ! მიანიჭე მუჰამმადს ვასილა და ფადილა, და მიანიჭე მას ქებული ადგილი, რომელიც მას

---

1 გადმოსცა მუსლიმმა (1/290) ნომრით (386).
2 იხილე: იბნი ხუზაიმა (1/220ტ).
3 გადმოსცა მუსლიმმა (1/288) ნომრით (384).

აღუთქვი, ჭეშმარიტად, შენ არ არღვევ აღთქმას»[1].

(აზანსა და იყამას შორის თავისთვის აკეთებს ვედრებას, რადგან ამ დროს დუა (ვედრება) არ არის უარყოფილი)[2].

## 16. გახსნითი ვედრება

«اللَّهُمَّ بَاعِدْ بَيْنِي وَبَيْنَ خَطَايَايَ كَمَا بَاعَدْتَ بَيْنَ المَشْرِقِ وَالمَغْرِبِ، اللَّهُمَّ نَقِّنِي مِنْ خَطَايَايَ كَمَا يُنَقَّى الثَّوْبُ الأَبْيَضُ مِنَ الدَّنَسِ، اللَّهُمَّ اغْسِلْنِي مِنْ خَطَايَايَ، بِالثَّلْجِ وَالماءِ وَالبَرَدِ».

«ო ალლაჰ, დამაშორე მე ჩემს ცოდვებს ისე, როგორც დააშორე ერთმანეთს აღმოსავლეთი და დასავლეთი; ო ალლაჰ, გამწმინდე ჩემი ცოდვებისგან, როგორც თეთრი სამოსი იწმინდება ჭუჭყისგან; ო ალლაჰ, განმბანე ჩემი ცოდვებისგან თოვლით, წყლით და სეტყვით»[3].

«سُبْحانَكَ اللَّهُمَّ وَبِحَمْدِكَ، وَتَبارَكَ اسْمُكَ، وَتَعَالَى جَدُّكَ، وَلَا إِلَهَ غَيْرُكَ».

---

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი (1/152) ნომრით: (614), და რაც არის ბრჭყალებში ალ-ბაიჰაყისგან (1/410), რომლის ისნადიც ჰასანად მიიჩნია დიდმა სწავლულმა აბდულ-აზიზ იბნ ბაზმა (ალლაჰმა შეიწყალოს იგი) „თუჰფათ ალ-ახიარ“-ში (გვ. 38).

[2] გადმოსცა ათ-თირმიზიმ ნომრით (3594) და (3595), აბუ დაუდმა ნომრით (525) და აჰმადმა ნომრით (12200), იხილეთ: 'ირვაა ღალილში' (1/262).

[3] გადმოსცემს ალ-ბუხარი (1/181) ნომრით: (744), და მუსლიმი (1/419) ნომრით: (598).

(ქება და დიდება შენ, ღმერთო, დალოცვილია სახელი შენი, ამაღლებულია დიდება შენი, არ არსებობს ღმერთი შენს გარდა).[1]

«وَجَّهْتُ وَجْهِيَ لِلَّذِي فَطَرَ السَّمَوَاتِ وَالأَرْضَ حَنِيفًا وَمَا أَنَا مِنَ الْمُشْرِكِينَ، إِنَّ صَلَاتِي، وَنُسُكِي، وَمَحْيَايَ، وَمَمَاتِي لِلَّهِ رَبِّ العَالَمِينَ، لَا شَرِيكَ لَهُ وَبِذَلِكَ أُمِرْتُ وَأَنَا مِنَ الْمُسْلِمِينَ، اللَّهُمَّ أَنْتَ المَلِكُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ، أَنْتَ رَبِّي وَأَنَا عَبْدُكَ، ظَلَمْتُ نَفْسِي وَاعْتَرَفْتُ بِذَنْبِي فَاغْفِرْ لِي ذُنُوبِي جَمِيعًا إِنَّهُ لَا يَغْفِرُ الذُّنُوبَ إِلَّا أَنْتَ، وَاهْدِنِي لِأَحْسَنِ الأَخْلَاقِ لَا يَهْدِي لِأَحْسَنِهَا إِلَّا أَنْتَ، وَاصْرِفْ عَنِّي سَيِّئَهَا، لَا يَصْرِفُ عَنِّي سَيِّئَهَا إِلَّا أَنْتَ، لَبَّيْكَ وَسَعْدَيْكَ، وَالْخَيْرُ كُلُّهُ بِيَدَيْكَ، وَالشَّرُّ لَيْسَ إِلَيْكَ، أَنَا بِكَ وَإِلَيْكَ، تَبَارَكْتَ وَتَعَالَيْتَ، أَسْتَغْفِرُكَ وَأَتُوبُ إِلَيْكَ».

«მე მივაპყრე ჩემი პირი მისკენ, ვინც შექმნა ცანი და მიწა, როგორც ჭეშმარიტი ერთღმერთიანი, და მე არ ვარ წარმართთაგანი. ჭეშმარიტად, ჩემი ლოცვა, ჩემი მსხვერპლშეწირვა, ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი ეკუთვნის ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს. არ ჰყავს მას თანამოზიარე, და ეს მებრძანა, და მე ვარ მუსლიმთაგანი. ო ალლაჰ,

[1] გადმოცემულია იმამ მუსლიმის მიერ, ჰადისის ნომერი (399), და ოთხი სუნანის ავტორების მიერ: აბუ დავუდი, ჰადისის ნომერი (775), ათ'თირმიზი, ჰადისის ნომერი (243), იბნ მააჯა, ჰადისის ნომერი (806), და ან'ნასაი, ჰადისის ნომერი (899). იხილეთ: საჰიჰი ათ'თირმიზი (1/77), და საჰიჰი იბნ მააჯა (1/135).

შენ ხარ მეუფე, არ არსებობს სხვა ღვთაება შენს გარდა. შენ ხარ ჩემი ღმერთი და მე შენი მონა ვარ. მე ჩემს თავს ვავნე და ვაღიარებ ჩემს ცოდვას, მაპატიე ყველა ჩემი ცოდვა, რამეთუ, არ პატიობს ცოდვებს არავინ შენს გარდა. და დამადგინე საუკეთესო ზნეობაზე, არავინ დაადგენს საუკეთესოზე შენს გარდა. და ამარიდე მისი სიავე, არავინ ამარიდებს მის სიავეს შენს გარდა. შენს სამსახურში ვარ და შენგანაა ბედნიერება, და ყოველივე სიკეთე შენს ხელთაა, და ბოროტება შენგან არ მომდინარეობს. მე შენით ვარ და შენსკენ მოვილტვი. შენ ხარ კურთხეული და ამაღლებული. შენდობას გთხოვ და მონანიებით ვბრუნდები შენსკენ »[1].

«اللَّهُمَّ رَبَّ جِبْرَائِيلَ، وَمِيْكَائِيلَ، وَإِسْرَافِيلَ، فَاطِرَ السَّمَوَاتِ وَالأَرْضِ، عَالِمَ الغَيْبِ وَالشَّهَادَةِ أَنْتَ تَحْكُمُ بَيْنَ عِبَادِكَ فِيمَا كَانُوا فِيهِ يَخْتَلِفُونَ، اهْدِنِي لِمَا اخْتُلِفَ فِيهِ مِنَ الحَقِّ بِإِذْنِكَ إِنَّكَ تَهْدِي مَنْ تَشَاءُ إِلَى صِرَاطٍ مُسْتَقِيمٍ».

«ღმერთო ჩემო! ღმერთო ჯიბრილისა, მიქაილისა და ისრაფილისა, ზეცისა და მიწის შემოქმედო, ფარულისა და აშკარის მცოდნეო, შენ განსჯი შენს მონებს შორის იმაში, რაზეც ისინი დავობდნენ, წამიყვანე სწორ გზაზე შენი

[1] გადმოსცა მუსლიმმა (1/534) ნომრით: (771).

ნებით რაშიც მოხდა განხეთქილება და გადაცდენა სწორი გზიდან, ჭეშმარიტად შენ დაადგენ სწორ გზაზე ინებებ ვისაც»[1].

«اللهُ أَكْبَرُ كَبِيرًا، اللهُ أَكْبَرُ كَبِيرًا، اللهُ أَكْبَرُ كَبِيرًا، وَالحَمْدُ لِلَّهِ كَثِيرًا، وَالحَمْدُ لِلَّهِ كَثِيرًا، وَالحَمْدُ لِلَّهِ كَثِيرًا، وَسُبْحَانَ اللهِ بُكْرَةً وَأَصِيلًا».

«ალლაჰი უდიდესია, უსაზღვროდ, ალლაჰი უდიდესია, უსაზღვროდ, ალლაჰი უდიდესია, უსაზღვროდ, და მრავალი ქება-დიდება ალლაჰს, და მრავალი ქება-დიდება ალლაჰს, და მრავალი ქება-დიდება ალლაჰს, და დიდება ალლაჰს დილით და საღამოს»

სამჯერ

«أَعُوذُ بِاللهِ مِنَ الشَّيْطَانِ: مِنْ نَفْخِهِ، وَنَفْثِهِ، وَهَمْزِهِ».

«ალლაჰს შევეფარები შაიტანისგან: მისი ამპარტავნებისგან, მისი ჯადოქრობისგან და მისი ბოროტი ჩურჩულისგან»[2].

[1] გადმოსცა მუსლიმმა (1/534) ნომრით: (770).

[2] გადმოსცა აბუ დაუდმა 1/203, ნომრით: 764, და იბნ მააჯამ 1/265, ნომრით: 807, და აჰმადმა 4/85, ნომრით: 16739, შუაიბ ალ-არნაუტმა მუსნადის კვლევაში თქვა: "სხვა გადმოცემების წყალობით სანდოა", და აბდულ-ყადირ ალ-არნაუტმა იბნ თაიმიას წიგნის "ალ-ქალიმ ატ-ტაიიბ"-ის წყაროების კვლევისას, ნომრით: 78, თქვა: "ჰადისი სწორია თავისი დამადასტურებელი გადმოცემებით", და ალბანიმ ის მოიხსენია საჰიჰ ალ-ქალიმ ატ-ტაიიბში, ნომრით: 62, და გადმოსცა ის

«اللَّهُمَّ لَكَ الحَمْدُ، أَنْتَ نُورُ السَّمَوَاتِ وَالأَرْضِ وَمَنْ فِيهِنَّ، وَلَكَ الحَمْدُ أَنْتَ قَيِّمُ السَّمَوَاتِ وَالأَرْضِ وَمَنْ فِيهِنَّ، [وَلَكَ الحَمْدُ أَنْتَ رَبُّ السَّمَوَاتِ وَالأَرْضِ وَمَنْ فِيهِنَّ] [وَلَكَ الحَمْدُ لَكَ مُلْكُ السَّمَوَاتِ وَالأَرْضِ وَمَنْ فِيهِنَّ] [وَلَكَ الحَمْدُ أَنْتَ مَلِكُ السَّمَوَاتِ وَالأَرْضِ] [وَلَكَ الحَمْدُ] [أَنْتَ الحَقُّ، وَوَعْدُكَ الحَقُّ، وَقَوْلُكَ الحَقُّ، وَلِقاؤُكَ الحَقُّ، وَالجَنَّةُ حَقٌّ، وَالنَّارُ حَقٌّ، وَالنَّبِيُّونَ حَقٌّ، وَمحَمَّدٌ ﷺ حَقٌّ، وَالسَّاعَةُ حَقٌّ] [اللَّهُمَّ لَكَ أَسْلَمتُ، وَعَلَيْكَ تَوَكَّلْتُ، وَبِكَ آمَنْتُ، وَإِلَيْكَ أَنَبْتُ، وَبِكَ خاصَمْتُ، وَإِلَيْكَ حاكَمْتُ. فَاغْفِرْ لِي مَا قَدَّمْتُ، وَمَا أَخَّرْتُ، وَمَا أَسْرَرْتُ، وَمَا أَعْلَنْتُ] [وَمَا أَنْتَ أَعْلَمُ بِهِ مِنِّي] [أَنْتَ المُقَدِّمُ، وَأَنْتَ المُؤَخِّرُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ] [أَنْتَ إِلَهِي لَا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ] [وَلَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللهِ]».

«ღმერთო, შენ გეკუთვნის ქება[1], შენ ხარ ნათელი ცათა და მიწისა და ყოველივე მათში არსებულისა, და შენ გეკუთვნის ქება, შენ ხარ გამგებელი ცათა და მიწისა და ყოველივე მათში არსებულისა, [და შენ გეკუთვნის ქება, შენ ხარ უფალი ცათა და მიწისა და ყოველივე მათში არსებულისა] [და შენ გეკუთვნის ქება, შენია მეუფება ცათა და მიწისა და ყოველივე მათში არსებულისა] [და შენ გეკუთვნის ქება, შენ ხარ

---

მუსლიმმა იბნ უმარისგან (ალლაჰი კმაყოფილი იყოს მათით) მსგავსი სიტყვებით, და მასში ამბავია 1/420, ნომრით: 601.

[1] მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამას ამბობდა, როდესაც ღამით თაჰაჯჯუდის სალოცავად დგებოდა.

მეუფე ცათა და მიწისა] [და შენ გეკუთვნის ქება] [შენ ხარ ჭეშმარიტება, და შენი აღთქმა ჭეშმარიტია, და შენი სიტყვა ჭეშმარიტია, და შენთან შეხვედრა ჭეშმარიტია, და სამოთხე ჭეშმარიტია, და ჯოჯოხეთი ჭეშმარიტია, და წინასწარმეტყველნი ჭეშმარიტნი არიან, და მუჰამმედი ﷺ ჭეშმარიტია, და განკითხვის დღე ჭეშმარიტია] [ღმერთო, შენ დაგემორჩილე, და შენ მოგენდე, და შენ გიწამე, და შენ მოგმართე მონანიებით, და შენით ვედავებოდი, და შენ მოგმართე სამართლისთვის. მომიტევე, რაც ადრე ჩავიდინე და რაც გვიან, რაც დავფარე და რაც გავამჟღავნე] [და ისიც, რაც შენ ჩემზე უკეთ იცი] [შენ ხარ წინ წამწევი და შენ ხარ უკან დამწევი, არ არსებობს ღმერთი შენს გარდა] [შენ ხარ ჩემი ღმერთი, არ არსებობს ღმერთი შენს გარდა] [არ არსებობს ძალა და არც ძლიერება, გარდა ალლაჰისა]»[1].

## 17. წელში მოხრის ვედრება

«سُبْحانَ رَبِّيَ العَظِيمِ».

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი, ფათჰ ალ-ბარისთან ერთად (3/3), (11/116) და (13/371), ნომრებით: (423), (465), (1120), (6317), (7385), (7442) და (7499), და მუსლიმი, შემოკლებული, მსგავსი გადმოცემით (1/532), ნომრით: (769).

«სუბჰაანა რაბბიალ 'აზიიმ».
სამჯერ[1].

«سُبْحَانَكَ اللَّهُمَّ رَبَّنَا وَبِحَمْدِكَ، اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي».

«სუბჰანაქა ალლაჰუმმა რაბბანაა ვა ბიჰამდიქ, ალლაჰუმმა ღფირ ლიი»[2].

«سُبُّوحٌ، قُدُّوسٌ، رَبُّ المَلَائِكَةِ وَالرُّوحِ».

დიდებული ხარ, წმინდა ხარ, ანგელოზებისა და სულის უფალო.[3]

«اللَّهُمَّ لَكَ رَكَعْتُ، وَبِكَ آمَنْتُ، وَلَكَ أَسْلَمْتُ، خَشَعَ لَكَ سَمْعِي، وَبَصَرِي، وَمُخِّي، وَعَظْمِي، وَعَصَبِي، [وَمَا استقَلَّتْ بِهِ قَدَمِي]».

«ღმერთო, შენს წინაშე დავიხარე, და შენი ვირწმუნე, და შენს წინაშე დავმორჩილდი. შენს წინაშე ქედი მოიხარა ჩემმა სმენამ, მხედველობამ, ტვინმა, ძვლებმა და ნერვებმა, [და რასაც ჩემი ფეხები ატარებს]»[4].

---

[1] აბუ დაუდ, ნომრით: (870), ათ'თირმიზი, ნომრით: (262), ან'ნასაი, ნომრით: (1007), იბნ მაჯა, ნომრით: (897), და აჰმად, ნომრით: (3514). იხილეთ: საჰიჰი ათ'თირმიზი (1/83).

[2] გადმოსცემს ალ-ბუხარი (1/ 99) ნომრით: (794), და მუსლიმი (1/ 350) ნომრით: (484).

[3] გადმოცემულია იმამ მუსლიმის მიერ (1/ 353), ჰადისის ნომერი (487), და აბუ დავუდის მიერ (1/ 230), ჰადისის ნომერი (872).

[4] მუსლიმ (1/ 534) ნომრით: (771), და ოთხივე, იბნ მაჯას გარდა: აბუ დაუდ, ნომრით: (760) და (761), ათ'თირმიზი, ნომრით: (3421), და ნასაი, ნომრით: (1049), ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული

«سُبْحَانَ ذِي الجَبَرُوتِ، وَالمَلَكُوتِ، وَالكِبْرِيَاءِ، وَالعَظَمَةِ».

«დიდება ძალმოსილების, მეუფების, სიდიადისა და დიდებულების მფლობელს»[1].

## 18. რუქუ'იდან ამოსვლის ვედრება

«سَمِعَ اللهُ لِمَنْ حَمِدَهُ».

ალლაჰმა შეისმინა მისი, ვინც ის შეაქო.[2]

«رَبَّنَا وَلَكَ الحَمْدُ، حَمْدًا كَثِيرًا طَيِّبًا مُبارَكًا فِيهِ».

ჩვენო ღმერთო, შენ გეკუთვნის ქება, უამრავი, კეთილი და დიდებული ქება.[3]

«مِلْءَ السَّمَوَاتِ وَمِلْءَ الأَرْضِ، وَمَا بَيْنَهُمَا، وَمِلْءَ مَا شِئْتَ مِنْ شَيءٍ بَعْدُ. أَهلَ الثَّناءِ وَالمَجْدِ، أَحَقُّ مَا قَالَ العَبْدُ، وَكُلُّنَا لَكَ عَبْدٌ، اللَّهُمَّ لَا مَانِعَ لِمَا أَعْطَيْتَ، وَلَا مُعْطِيَ لِمَا مَنَعْتَ، وَلَا يَنْفَعُ ذَا الجَدِّ مِنْكَ الجَدُّ».

შენ გეკუთვნის ქება, რომელიც ავსებს ცას, დედამიწას და მათ შორის ყველაფერს, და ყველაფერს, რასაც შენ ისურვებ ამის შემდეგ. ო ღირსეულო ქებისა და დიდების პატრონო! ეს

---

სიტყვებით გადმოსცემს იბნ ხუზაიმა, ნომრით: (607), და იბნ ჰიბბან, ნომრით: (1901).

1 აბუ დაუდი (1/230) ნომრით: (873), ნასაი, ნომრით: (1131), აჰმადი, ნომრით: (23980), და მისი გადმოცემათა ჯაჭვი კარგია.

2 გადმოსცემს ალ-ბუხარი ფათჰ-თან ერთად (2/282), ნომრით (796).

3 გადმოსცემს ალ-ბუხარი „ალ-ფათჰ“-ში (2/284), ნომრით: (796).

არის უდიდესი სიტყვა, რაც მონამ შეიძლება თქვას, და ჩვენ ყველანი შენი მონები ვართ. ო ალლაჰ, არ არსებობს ძალა, რომ შეაჩეროს ის, რაც შენ მიანიჭე, და არავის შეუძლია მიანიჭოს ის, რაც შენ შეაკავე, ძალაუფლება და ბრწყინვალება ვერ არგებს მას, ვის წინააღმდეგაც გსურს.“[1]

## 19. სუჯუდის ვედრება

«سُبْحَانَ رَبِّيَ الأَعْلَى».

«სუბჰაანა რაბბიი ალ-ა'ლაა» სამჯერ[2].

«سُبْحَانَكَ اللَّهُمَّ رَبَّنَا وَبِحَمْدِكَ، اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي».

«სუბჰანაქა ალლაჰუმმა რაბბანაა ვა ბიჰამდიქ, ალლაჰუმმა ღფირ ლიი»[3]

«سُبُّوحٌ، قُدُّوسٌ، رَبُّ المَلَائِكَةِ وَالرُّوحِ».

დიდებული ხარ, წმინდა ხარ, ანგელოზებისა

---

1 გადმოსცა მუსლიმმა(1/346), ნომრით: (477).

2 ჰადისი გადმოსცეს სუნანის ავტორებმა და აჰმადმა: აბუ დაუდმა, ნომრით: 870, ათ'თირმიზიმ, ნომრით: 262, ან'ნასაიმ, ნომრით: 1007, იბნ მააჯამ, ნომრით: 897, და აჰმადმა, ნომრით: 3514. იხილეთ: საჰიჰ ათ'თირმიზი, 1/83.

3 გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (794), და მუსლიმი ნომრით: (484), და ვახსენეთ ნომრით (34).

და სულის უფალო.[1]

«اللَّهُمَّ لَكَ سَجَدْتُ وَبِكَ آمَنْتُ، وَلَكَ أَسْلَمْتُ، سَجَدَ وَجْهِيَ لِلَّذِي خَلَقَهُ، وَصَوَّرَهُ، وَشَقَّ سَمْعَهُ وَبَصَرَهُ، تَبَارَكَ اللهُ أَحْسَنُ الخَالِقِينَ».

«ო ალლაჰ, შენს წინაშე აღვავლინე საჯდა და შენი ვირწმუნე, და შენს წინაშე დავმორჩილდი. ჩემმა სახემ სუჯუდი გააკეთა მისთვის, ვინც იგი შექმნა და ფორმა მისცა, გაუხსნა მას სმენა და მხედველობა, კურთხეულ არს ალლაჰი, საუკეთესო გამჩენთა შორის»[2].

«سُبْحَانَ ذِي الجَبَرُوتِ، وَالمَلَكُوتِ، وَالكِبْرِيَاءِ، وَالعَظَمَةِ».

(დიდება ძალმოსილების, მეუფების, სიდიადისა და დიდებულების მფლობელს).[3]

«اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي ذَنْبِي كُلَّهُ: دِقَّهُ وَجِلَّهُ، وَأَوَّلَهُ وَآخِرَهُ، وَعَلَانِيَتَهُ وَسِرَّهُ».

«ღმერთო ჩემო, მომიტევე ჩემი ყველა ცოდვა: პატარა და დიდი, პირველი და უკანასკნელი,

---

[1] გადმოცემულია იმამ მუსლიმის მიერ (1/533), ჰადისის ნომერი (487), და აბუ დავუდის მიერ, ჰადისის ნომერი (872), და უკვე ნახსენებია ნომრით (35).

[2] გადმოსცა მუსლიმმა (1/534) ნომრით (771), და სხვებმა.

[3] აბუ დაუდ, (1/230), ნომრით: (873), ნასაი, ნომრით: (1131), აჰმად, ნომრით: (23980), იმამი ალ-ალბანი (ალლაჰმა შეიწყალოს ის) ჰადის მიიჩნევს სანდოდ საჰიჰი აბუ დაუდში (1/166), და მისი წყაროები მოყვანილია ნომერ (37)-ში.

გაცხადებული და ფარული»[1].

«اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِرِضَاكَ مِنْ سَخَطِكَ، وَبِمُعَافَاتِكَ مِنْ عُقُوبَتِكَ، وَأَعُوذُ بِكَ مِنْكَ، لَا أُحْصِي ثَنَاءً عَلَيْكَ، أَنْتَ كَمَا أَثْنَيْتَ عَلَى نَفْسِكَ».

«ო ალლაჰ, შენი კმაყოფილებით გეფარები შენი რისხვისგან და შენი მიტევებით — შენი სასჯელისგან. და შენ შეგეფარები შენგან. ვერ დავითვლი შენდამი ქებას, შენ ისეთი ხარ, როგორი ქებითაც შეამკე საკუთარი თავი»[2].

## 20. ორ სუჯუდს შორის დაჯდომის ვედრება

«رَبِّ اغْفِرْ لِي، رَبِّ اغْفِرْ لِي».

(ღმერთო მომიტევე, ღმერთო მომიტევე)[3].

«اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي، وَارْحَمْنِي، وَاهْدِنِي، وَاجْبُرْنِي، وَعَافِنِي، وَارْزُقْنِي، وَارْفَعْنِي».

(ღმერთო ჩემო, მომიტევე მე, შემიწყალე, დამადგინე სწორ გზაზე, მომეცი ძალა, მომეცი ჯანმრთელობა, მომეცი სარჩო და ამამაღლე).[4]

---

1 გადმოსცა მუსლიმმა (1/ 230) ნომრით (483).

2 გადმოსცა მუსლიმმა (1/352) ნომრით (486).

3 აბუ დაუდ (1/231) ნომრით: (874), და იბნ მააჯა ნომრით: (897), და იხილეთ: საჰიჰ იბნ მააჯა (1/148).

4 გადმოსცეს სუნანის ავტორებმა, ან-ნასაის გარდა: აბუ დაუდმა (1/231) ნომრით: (850), და ათ-თირმიზიმ ნომრით: (284) და (285), და იბნ მააჯამ ნომრით: (898), იხილეთ: საჰიჰი ათ-თირმიზი (1/90), და საჰიჰი იბნ მააჯა (1/148).

## 21. ყურანის კითხვისას გასაკეთებელი საჯდის ვედრება

«سَجَدَ وَجْهِي لِلَّذِي خَلَقَهُ، وَشَقَّ سَمْعَهُ وَبَصَرَهُ بِحَوْلِهِ وَقُوَّتِهِ، فَتَبَارَكَ اللهُ أَحْسَنُ الخَالِقِينَ»

«ჩემმა სახემ სუჯუდი გააკეთა იმისთვის, ვინც იგი შექმნა, და თავისი ძალითა და ძლიერებით გაუხსნა მას სმენა და მხედველობა, ﴾...დიდებულია ალლაჰი, შემოქმედთა შორის საუკეთესო﴿»

[ალ-მუ'მინუუნ: 14][1].

«اللَّهُمَّ اكْتُبْ لِي بِهَا عِنْدَكَ أَجْرًا، وَضَعْ عَنِّي بِهَا وِزْرًا، وَاجْعَلْهَا لِي عِنْدَكَ ذُخْرًا، وَتَقَبَّلْهَا مِنِّي كَمَا تَقَبَّلْتَهَا مِنْ عَبْدِكَ دَاوُدَ».

«ო ალლაჰ, დამიწერე ამით შენთან ჯილდო, მაპატიე ამით ცოდვები, შემინახე ეს შენთან როგორც მარადიული ნაგროვი, და მიიღე ის ჩემგან, როგორც მიიღე იგი შენი მონა დავუდისგან»[2].

[1] ათ'თირმიზი, 2/474, ნომრით: 3425, აჰმადი, 6/30, ნომრით: 24022, ალ-ჰააქიმი, ჰადისს სანდოდ მიიჩნევს და მას ეთანხმება ალ-ზაჰაბი, 1/220 და დამატება მისი გადმოცემულია.

[2] ათ'თირმიზი, 2/473, ნომრით: 579, ალ-ჰააქიმი ჰადისს სწორად მიიჩნევს და მას ეთანხმება ალ-ზაჰაბი(1/219).

## 22 - თაშაჰჰუდი

«التَّحِيَّاتُ لِلَّهِ، وَالصَّلَوَاتُ، وَالطَّيِّبَاتُ، السَّلَامُ عَلَيْكَ أَيُّهَا النَّبِيُّ وَرَحْمَةُ اللهِ وَبَرَكَاتُهُ، السَّلَامُ عَلَيْنَا وَعَلَى عِبَادِ اللهِ الصَّالِحِينَ، أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ».

მნიშვნელობა: (მისალმებანი, ლოცვა და ყოველი სიკეთე მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ალლაჰის მშვიდობა, წყალობა და მისი ბარაქა შენზე იყოს ალლაჰის შუამავალო. მშვიდობა ჩვენ და ალლაჰის ყველა მართალ მსახურს. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია)[1].

## 23. მოციქულის (ალლაჰის ლოცვდა და მშვიდობა მას) დალოცვა თაშაჰუდის შემდეგ.

«اللَّهُمَّ صَلِّ عَلَى مُحَمَّدٍ، وَعَلَى آلِ مُحَمَّدٍ، كَمَا صَلَّيْتَ عَلَى إِبْرَاهِيمَ، وَعَلَى آلِ إِبْرَاهِيمَ، إِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ، اللَّهُمَّ بَارِكْ عَلَى مُحَمَّدٍ وَعَلَى آلِ مُحَمَّدٍ، كَمَا بَارَكْتَ عَلَى إِبْرَاهِيمَ وَعَلَى آلِ إِبْرَاهِيمَ، إِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ».

«ღმერთო დალოცე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი, ისე როგორც დალოცე

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი (ფათჰ ალ-ბარი, 2/311), ნომრით: (831), და მუსლიმი (1/301), ნომრით: (402).

იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი, ჭეშმარიტად შენ ქებული და დიდებული ხარ, ღმერთო ბარაქა უბოძე მუჰამმადს და მუჰამმადის ოჯახს, ისე როგორც უბოძე (ბარაქა) იბრაჰიმს და იბრაჰიმის ოჯახს, ჭეშმარიტად შენ ქებული და დიდებული ხარ»[1].

«اللَّهُمَّ صَلِّ عَلَى مُحَمَّدٍ وَعَلَى أَزْوَاجِهِ وَذُرِّيَّتِهِ، كَمَا صَلَّيْتَ عَلَى آلِ إِبْرَاهِيمَ، وَبَارِكْ عَلَى مُحَمَّدٍ وَعَلَى أَزْواجِهِ وَذُرِّيَّتِهِ، كَمَا بَارَكْتَ عَلَى آلِ إِبْرَاهِيمَ، إِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ».

«ჩემო ღმერთო, დალოცე მუჰამმედი, მისი მეუღლეები და შთამომავლობა, ისე როგორც დალოცე იბრაჰიმი და მისი ოჯახი. მოჰმადლე მუჰამმედს, მის მეუღლეებსა და შთამომავლობას ბარაქა, ისე როგორც მიჰმადლე იბრაჰიმს და მის ოჯახს. ჭეშმარიტად, შენ ხარ ქებული და დიდებული». [2].

## 24. ვედრება ბოლო თაშაჰუდის შემდეგ, სალამის წინ

«اللَّهُـمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنْ عَذَابِ القَبْرِ، وَمِنْ عَذَابِ جَهَنَّمَ، وَمِنْ فِتْنَةِ المَحْيَا

---

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი, „ალ-ფათჰ"-თან ერთად (6/408), ნომრით: (3370), და მუსლიმი ნომრით: (406).

[2] გადმოსცემს ალ-ბუხარი (ფათჰ ალ-ბარი, 6/407) ნომრით: (3369), და მუსლიმი (1/306) ნომრით: (407), აქ მოცემულია მუსლიმის ვერსია.

وَالمَمَاتِ، وَمِنْ شَرِّ فِتْنَةِ المَسِيحِ الدَّجَّالِ».

«ჩემო ღმერთო, მე მოგეკედლები შენ საფლავის სასჯელისგან, ჯოჯოხეთის სასჯელისგან, სიცოცხლისა და სიკვდილის ცდუნებისგან და ცრუ მესია დაჯჯალის ცდუნებისგან»[1].

«اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنْ عَذَابِ القَبْرِ، وَأَعُوذُ بِكَ مِنْ فِتْنَةِ المَسِيحِ الدَّجَّالِ، وَأَعُوذُ بِكَ مِنْ فِتْنَةِ المَحْيَا وَالمَمَاتِ، اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنَ المَأْثَمِ وَالمَغْرَمِ».

«ღმერთო ჩემო, შენ შეგეფარები საფლავის სასჯელისაგან, და შენ შეგეფარები ცრუ მესია დაჯჯალის ცდუნებისგან, და შენ შეგეფარები სიცოცხლისა და სიკვდილის ცდუნებისგან, ღმერთო ჩემო, შენ შეგეფარები ცოდვებისაგან და ვალებისაგან»[2].

«اللَّهُمَّ إِنِّي ظَلَمْتُ نَفْسِي ظُلْمًا كَثِيرًا، وَلَا يَغْفِرُ الذُّنُوبَ إِلَّا أَنْتَ، فَاغْفِرْ لِي مَغْفِرَةً مِنْ عِنْدِكَ وَارْحَمْنِي، إِنَّكَ أَنْتَ الغَفُورُ الرَّحِيمُ».

«ჩემო ღმერთო, უეჭველად მე უსამართლოდ მოვექეცი ჩემს თავს, და არავის შეუძლია ცოდვების პატიება გარდა შენისა, მაშ მომიტევე

---

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი (2/102) ნომრით: (1377), და მუსლიმი (1/412) ნომრით: (588), და ტექსტი მუსლიმისაა.

[2] გადმოსცემს ალ-ბუხარი (1/202) ნომრით: (832), და მუსლიმი (1/412) ნომრით: (587).

მე, შემიწყალე მე, ჭეშმარიტად შენ მპატიებელი შემწყალობელი ხარ»[1].

«اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي مَا قَدَّمْتُ، وَمَا أَخَّرْتُ، وَمَا أَسْرَرْتُ، وَمَا أَعْلَنْتُ، وَمَا أَسْرَفْتُ، وَمَا أَنْتَ أَعْلَمُ بِهِ مِنِّي، أَنْتَ الْمُقَدِّمُ، وَأَنْتَ الْمُؤَخِّرُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ».

«ო, ალლაჰ, მაპატიე ის, რაც ადრე ჩავიდინე და რაც ჯერ არ ჩამიდენია, ის, რაც ფარულად გავაკეთე და რაც აშკარად გავაკეთე, და ის, რაც უზომოდ ჩავიდინე, და ის, რაც შენ ჩემზე უკეთ იცი! შენ ხარ ის, ვინც წინ წევს და შენ ხარ ის, ვინც უკან წევს, არ არსებობს ღვთაება შენს გარდა»[2].

«اللَّهُمَّ أَعِنِّي عَلَى ذِكْرِكَ، وَشُكْرِكَ، وَحُسْنِ عِبَادَتِكَ».

«ღმერთო ჩემო! შენ შემეწიე შენს ხსენებაში, შენთვის მადლიერების გამოხატვაში და ღვთისმსახურების საუკეთესო ფორმით შესრულებაში»[3].

«اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنَ الْبُخْلِ، وَأَعُوذُ بِكَ مِنَ الْجُبْنِ، وَأَعُوذُ بِكَ مِنْ أَنْ أُرَدَّ إِلَى أَرْذَلِ الْعُمُرِ، وَأَعُوذُ بِكَ مِنْ فِتْنَةِ الدُّنْيَا وَعَذَابِ الْقَبْرِ».

---

1 გადმოსცემს ალ-ბუხარი: (8/168)ნომრით:(834), და მუსლიმი(4/2078) ნომრით: (2705).

2 გადმოსცა მუსლიმმა (1/534) ნომრით (771).

3 აბუ დაუდ, 2/86, ნომრით: 1522, ნასაი, 3/53, ნომრით: 2302, იმამი ალ-ალბანი (ალლაჰმა შეიწყალოს ის) ჰადის მიიჩნევს სანდოდ საჰიჰი აბუ დაუდში, 1/284.

«ღმერთო ჩემო, შენ შეგეფარები სიძუნწისაგან, და შეგეფარები სიმხდალისგან, და შეგეფარები აღმოვჩნდე ხანდაზმულობის სისუსტეში, შეგეფარები ამქვეყნის განსაცდელისაგან და საფლავის სასჯელისაგან»[1].

«اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ الجَنَّةَ وَأَعُوذُ بِكَ مِنَ النَّارِ».

«ო, ალლაჰ, გთხოვ სამოთხეს და შენ შეგეფარები ცეცხლისგან»[2].

«اللَّهُمَّ بِعِلْمِكَ الغَيْبَ وَقُدْرَتِكَ عَلَى الخَلقِ أَحْيِنِي مَا عَلِمْتَ الحَيَاةَ خَيْرًا لِي، وَتَوَفَّنِي إِذَا عَلِمْتَ الْوَفَاةَ خَيْرًا لِي، اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ خَشْيَتَكَ فِي الغَيْبِ وَالشَّهَادَةِ، وَأَسْأَلُكَ كَلِمَةَ الحَقِّ فِي الرِّضَا وَالغَضَبِ، وَأَسْأَلُكَ القَصْدَ فِي الغِنَى وَالفَقْرِ، وَأَسْأَلُكَ نَعِيمًا لَا يَنْفَدُ، وَأَسْأَلُكَ قُرَّةَ عَيْنٍ لَا تَنْقَطِعُ، وَأَسْأَلُكَ الرِّضَا بَعْدَ القَضَاءِ، وَأَسْأَلُكَ بَرْدَ العَيْشِ بَعْدَ المَوْتِ، وَأَسْأَلُكَ لَذَّةَ النَّظَرِ إِلَى وَجْهِكَ، وَالشَّوْقَ إِلَى لِقَائِكَ فِي غَيرِ ضَرَّاءَ مُضِرَّةٍ، وَلَا فِتْنَةٍ مُضِلَّةٍ، اللَّهُمَّ زَيِّنَا بِزِينَةِ الإِيمَانِ، وَاجْعَلْنَا هُدَاةً مُهْتَدِينَ».

«ღმერთო ჩემო! შენი დაფარული ცოდნით და შენი ბატონობით შენს ქმნილებებზე, მაცოცხლე

---

[1] ალ-ბუხარი ფათჰთა ერთად (6/35) ნომრით: (2822),და ასევე ნომრით: (6390).

